




ნახ. ნ. მალაშონკოს

ბახმაროს მისადგომებთან

ნი ანტონი

19 თბილისი მაისი 1953 წ. გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXX.
ფანი 2 მან.

ქრწილი ჩალვადარი — გული ნუ გაგიტყდება, ჩ
ოჩანა, მართალია ავტომანქანებმა შენ ნახევრად უმუშევ
დაგტოვეს, მაგრამ ჩვენი კურორტვაქრობის მარიფათი
ვიცი, ჩვენს მიერ მოტანილ კარაქსა და კვერცხს მაინც
ჩაგინ გაუწევს კონკურენციას!..



იუგოსლავიის საზღვართან

აუტანელი პოლიტიური რეჟი-
მის გამო იუგოსლავიიდან მოსა-
ზღვრე ქვეყნებში ხშირად გარბიან
იუგოსლავიის მოქალაქენი. იყო
არაერთი შემთხვევა იუგოსლა-
ვიიდან სპორტსმენთა გაქცევისა.

გაზეთებიდან

საბავშვო ფინიში

ნახ. გ. ლომიძისა

საფრანგეთის
სკოლებში შემო-
ღებულია სახუ-
მარო სასჯელი:
ცულ მოწაფეს,
მარცხის ნიშნად



პრეფექტი ვერის ყურადღებამ

გარეშე წაუხდა:
მას მეტისმეტად
ცხელი შხაპები
მოუწყვეს მიტელ-
ბერგის დამცვე-
ლებმა და მოწმე-
ებმა.

ახურაგენ ქუდს, რომელსაც ვირის ყურები აქვს მიმაგრებული.

იგულისხმება, რომ ასეთი ყურებით „დაჯილდოებული“
ვირთან იყო გათანაბრებული, მას სიცილს აყრიდნენ და აბუ-
ჩად იგდებდნენ, როგორც დამარცხებულს, უნიჭოს და უეცის.

უნიჭოების მხილვის ეს ხერხი, ამას წინათ, კარგად გაი-
ხსენა ფრანგმა კარიკატურისტმა მიტელბერგმა პარიზის პო-
ლიციის პრეფექტის ბეილოს გასამართლებლად.

ეს მოხდა პარიზსა და მის გარეუბნებში ეროვნული კრე-
ბის ნაწილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ. ამ არჩე-
ვების დროს ბეილო კომუნისტების წინააღმდეგ გაფაციცებით
რაზმავდა პარიზის პოლიციას, აწყობდა პროვოკაციებს და
სდევნიდა პროგრესულ დაჯგუფებებს.

მისი უხეში რეპრესიების მიუხედავად, არჩევნებში გა-
მარჯვება მაინც კომუნისტებმა მოიპოვეს. მაგრამ ცნობილმა
კარიკატურისტმა მიტელბერგმა კომუნისტებისა და პროგრე-
სული ელემენტების დევნაში დაგვიღო პოლიციის პრეფექტს
„ღეწილი“ მაინც არ დაუკარგა. მან გაზეთ „ლ'ჰუმანიტეში“
გამოაქვეყნა კარიკატურა, რომელზედაც გამოხატულია რო-
მელიდაც უცხო გენერალი. მის წინ დამარცხებულის პოზაში
თავდახრილი დგას ბეილო—ვირისყურებიანი ქუდი.

„მე გამარჯვებას ვერ მოგილოცავთ“. — დამტუქსავად
ეუბნება გენერალი.

ამ მოხდენილმა ხუმრობამ გააცოფა პოლიციის პრეფე-
ქტი, რომელმაც პასუხისმგებში მისცა მიტელბერგი.

ამას წინათ პარიზის ერთ-ერთმა სასამართლომ განიხი-
ლა ბეილოს საჩივარი. მაგრამ გაგულისებულ პოლისმენს ან-

მათ დამტკიცეს, რომ ფრანსუა რაბლეს ქვეყანაში პრო-
გრესული სატირის დევნა ძვირად დაუჯდებოდათ ბნელეთის
ძალებს. კერძოდ ბეილოს იმაზე უფრო მეტი ღირებდა, ვიდრე
ჩვეულებრივ ურტყამენ ხოლმე მის ოთხფეხა „კეთილმოსურ-
ნის“, რომლის ყურებითაც იგი მიტელბერგმა შეამკო.

ორიოდე რეპლიკა სანიმუშოდ:

— რა აბრაზებს პატივცემულ ბეილოს? — განაცხადა ცნო-
ბილმა კარიკატურისტმა თან ეფელმა, — კაცს ურჩევნია ვირი
უწოდონ, ვიდრე პოლიციელი.

— აქ იმაზე კი არ ვლაპარაკობთ, ბატონი ბეილო ვირი
არის თუ არ არის ის ვირი, არამედ იმაზე, რომ გამოვარ-
კვით, შეუძლია თუ არა საფრანგეთში კარიკატურისტს თა-
ვისი პროფესიული საქმე აკეთოს? — შეეკითხა მოსამართლეებს
დამცველი ბრიუგიე, რომელსაც პრავალი მიმბაძველი და მო-
მხრე აღმოაჩნდა.

და თუმცა ეს იყო ბეილოს უნიჭობის მხილვისა და გა-
მართალების მეტად მხიარული პროცესი, მაგრამ სასამართლომ
მაინც გული მოუბრუნა პრეფექტს და ჯარიმა დაადო რო-
გორც კარიკატურის ავტორს, ისე „ლ'ჰუმანიტეს“ რედაქციას.

ბეილო ზეიმობდა გამარჯვებას, მაგრამ მიტელბერგმა
ახალი მართაბი გადაუჭირა ვირისყურებიან პოლიციელს: მან
იმავე გაზეთში მოათავსა საპასუხო კარიკატურა, რომელშიც
ალტაცებული ვირი წინა ფეხს ართმევს კმაყოფილ ბეილოს და
ეუბნება: „გილოცავ, მეგობარო!“

ქვეშაბრტყელ, ზეიმი მართებს გაწბილებულ პრეფექტს,
გრძელი ყურების პატრონმა მაინც დაუფასა დამსახურება.

უჩინებარნი

არჩილ ბეგიშვილს წელსაც ნამძინარევეს მოუსწრო გაზაფხულმა. მან ზამთრის სიზმრები გაუფანტა და თვალები მოაფხვინებინა.

სწორედ ახირებული რამ არის ეს გაზაფხული: შეუმჩნეველად შემოიპარება თავისი მერცხალ-ბულბულებით, გადაჭრელებს ველ-მინდორს და გინდა-არგინდა საკურორტო სეზონს გაგახსენებს.

და, ბეგიშვილის ჰაპანწყევტაც ხომ სწორედ აქედან იწყება.

ახ, უკაცრავად, ჩვენ ჯერ არ გვითქვამს, რომ არჩილ ბეგიშვილი საქართველოს კურორტვაჭრობის მმართველი გახლავთ.

დიახ, უკვე მეორე წელია, რაც ის „მართავს“ ჩვენი შესანიშნავი მრავალრიცხოვანი კურორტების მომარაგების, ანუ კურორტვაჭრობის სისტემას და დღემდე ისე ვერ მომართა, რომ მან ჯაგლაგი საათივით მაინც იმუშაოს.

მაშინაც ნამძინარევი იყო არჩილ ბეგიშვილი 1952 წლის გაზაფხულზე კურორტვაჭრობის საქმეს პირველად რომ მიუჯდა, მაშინაც თვალები მოიფხვინებდა და თქვა:

— ჩვენი კურორტების მნიშვნელობა? როგორ არა, ჩემო კარგებო, ძალიან კარგად მესმის: ეს მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის კერაა, ასეულ ათასობით ადამიანი აქ ისვენებს და იკურნება, აქ სიცოცხლე დუღს და გადმოდის. აი, ისე, როგორც პოეტები იტყვიან ხოლმე ლირიკაში... დიახ, ისიც მესმის, რომ საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს მნიშვნელობას აძლევს კურორტების კეთილმოწყობას, ასეულ მილიონ მანეთებს ხარჯავს ამ საქმეზე, მაგრამ...

ამ „მაგრამის“ შემდეგ პატარა პაუზა არჩილ ბეგიშვილმა იმით დაამთავრა, რომ ამდენი კურორტების სავაჭრო საქონლით მომარაგება, ანუ მათში სავაჭრო ქსელის გაძლიერება—ლირიკა არ არის და, ჩემისთანა კაცი ამ საქმეში ბრალიაო! მან უმაღლე კურორტების სია გაშალა და კურორტვაჭრობის მთლიან სისტემას ფანქრის ერთი ჩამოსმით ათიოდე პირველხარისხოვანი კურორტი ჩამოაცილა.

დაობლებულთა სიაში ბეგიშვილმა მოაყოლა ჯავა, დარიალი, საირმე, შოვი, ბახმარო, მენჯი და თბილისის გარეუბნის კურორტები თავისი მანგლის-კოჯორ-კიკეთის ქსელითურთ.

ვისაც უნდა, მან მოამარაგოს, ვისაც სურს, მან მოაწყოს იქ ვაჭრობაო, —დაასკვნა მან და თავის კეთილმფარველობაში აყვანილი კურორტების მომარაგების საქმეს შეუდგა. შეუდგა და... აღნიშნული კურორტების რეგულარული მომარაგების საქმესაც სწორედ იმ დღიდან წყალმანკი შეუდგა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ ასეთ „მაგარ“ გამოთქმას ხუმრობის გულისთვის მივმართეთ! პირიქით, ამ დღეებში ჩვენ მოწმე ვიყავით თუ როგორ ისმენდა ბეგიშვილი ასეთ სამართლიან მაგარ გამოთქმებს და როგორ ხუმრობის გუნებაზე იყო თვითონ ის.

ჩვენ გვინდოდა მკითხველისთვის გაგვეცნო არჩილ ბეგიშვილის ეს საკურორტო ხუმრობანი, ახლა, ამ გაზაფხულზე რომ გვასმინა მან საქართველოს კურორტთა სამმართველოს მიერ მოწვეულ თათბირზე.

ამ თათბირზე პირველ რიგში საქმიანი კრიტიკის მახეილმა კურორტვაჭრობის კისერზე გაიღვა. სამართლიანად აღინიშნა მრავალი ნაკლი, უთავბოლობისა და მოუქნელობის აღმავლობელი ფაქტები კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების მომარაგებისა და კვების საქმეში.

გამოირკვა, რომ მაელ რიგ კურორტებს თავის დროზე ვერ აწვდიან აუცილებელ სანოვავს, თვითდინების წესით ამარაგებენ, დამზადებულ პროდუქტებს ცუდად ინახავენ, ან კარგს ცვლიან ცუდით კურორტვაჭრობის ქსელში და, ეს გაუგებრობას, შეგერხებას, საყვედურებს იწვევს.

აი, ათასიდან ორიოდე მაგალითი:

აბასთუმნის სანატორიუმს ექვსი თვის განმავლობაში თვალთ არ უნახავს კვერცხი, ცხრა თვის განმავლობაში კურორტვაჭრობას არც ერთი ლიტრი რძე არ მიუწოდებია, კარტოფილს, ბოსტნეულს სისტემატურად აკლბს. სამაგიეროდ კურორტვაჭრობამ მას 725 კილოგრამი ცხარე ძმარი მიაწოდა!

მოგესხენებო, აბასთუმანი უმთავრესად ფილტვებით დაავადებულთა კურორტად ითვლება, ბეგიშვილის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ასეთ კურორტზე რძე-კვერცხის უქონლობა და ძმრის სიუხვე.

წყალტუბოს № 1 სანატორიუმს კურორტვაჭრობამ შარშან პირველ კვარტალში დააკლო 2183 კილოგრამი თევზი, 2499 კგ ხორცი, 4912 კვერცხი, 11712 ლიტრი რძე, სხვა პროდუქტები და ბოსტნეული. ამ პროდუქტების დიდი ნაწილი „ეკარგება“ სანატორიუმს...

და ასე, რომელ სანატორიუმს, რომელ დასასვენებელ სახლს აიღებთ, რომ მაღლობის წერილებს უგზავნიდეს კურორტვაჭრობის სამმართველოს არჩილ ბეგიშვილის მისამართით!

საპასუხო სიტყვის შესავალ ნაწილში ბეგიშვილმა განაცხადა, რომ გამოსული ამხანაგების კრიტიკა სწორია, მითითებული ნაკლი კურორტების მომარაგების საქმეში ნამდვილად არსებობს, საქმე უარესადაც კი გახლავთო.

შემდეგ გადავიდა ხუმრობაზე, წმინდა წყლის იუმორზე და სანიაგო დებულებებით ერთობ გაამდიდრა კურორტვაჭრობის სამმართველოს ლექსიკა.

— „ჩვენ ეგ არ გვეხება“, „ჩვენ ეგ ვერ მოვახერხეთ“, „ჩვენ ეგ ვერ დაგვლიეთ“, „ჩვენ ამ საქმისათვის მოწოდებული არა ვართ“, ამბობდა არჩილი.

— მართალია, წყალტუბოს სანატორიუმებს ხორცი და ცხიმეული აკლდა, მაგრამ ეს ხორცმრეწველობის სამინისტროს ბრალიაო, — გვახარამან, — მინერალური წყლებისა და ულკოპოლო სასმელების ნაკლებობა—საქმიანწყლების ტრესტს მოჰკითხეთ, კარტოფილის ნაკლებობაში — ვორონეის სამომხმარებლო კოოპერაციას უსაყვედურეთ, კომბოსტოს კურორტვაჭრობა ხომ არ თესავს, რომ მისი უქონლობა ჩვენ დაგვებარალოთ?

„ასაბუთებდა“ ბეგიშვილი.

მან კვერცხის მიუწოდებლობა — იმ გასაწყვეტ ახალციხურ ქათმებს დააბრალა, რძისა და არაქანის სიმცარე — ძროხებს, ცუდი მომარაგება — საწყობის უქონლობას, ცუდი მასალებისაგან ცუდი კერძების დამზადება — ჩვენებურ მზარეულებს, რომელთა შესაცვლე-ლადაც, „მადლობა ღმერთს“, უკვე შორეული რესპუბლიკებიდან გამოუწერია მას „ჯადო-მზარეულები“.


და ყველა ამის შერდეგ, არჩილ ბეგიშვილმა უცოდველ კრავად, მართალ კაცად, საქმიან მუშაკად გამოიყვანა არჩილ ბეგიშვილი. დიახაც კარგი ხუმრობაა — ცუდ მუშაობაზე, სწორედ საგაზაფხულო, საკურორტო ხუმრობაა.

— ამ საქმეში დამნაშავეებს დროზე უნდა მოეთხოვოს პასუხი, — განაცხადა ბეგიშვილმა, — მით უფრო, რომ ახლა გაზაფხულია, საკურორტო სეზონი კარს გვადგიაო, — დასძინა მან, დაამთავრა თავისი საკურორტო ხუმრობანი და ნამძინარევი თვალები კვლავ მოიფხვინებდა.

აბა რა გვეთქმის? ჩვენ საცხებით ვე თანხმებით არჩილ ბეგიშვილის ხუმრობის უკანასკნელ აბზაცს, ოღონდ ყოველგვარი ხუმრობის გარეშე.

ფარსადანი





பு. 53 ர

- რა ღაღმარტა, რას იფხორება ეს ჩვენი უნწა?!

ყურმოქრული საუბარი

— მთელი თბილისი შემოვიარე და ჩულქი ვერ ვიშოვე.

- ქა, ჩუღჭის მეტი რა არის მალაზიებში!
- ჩემი ფეხის ზომისას ვერსად მივაგენი.
- ბეჩა, რა ფეხი გაქვს ასეთი, ორმოც ნომერ

ფეხსაცმელს ხომ არ ატარებ?

— არა, გოგო, ოცდახუთ ნომერ ჩუქს ვეძებ, ჩვეულებრივ ზომას, ყველა რომ იცავას. მაღაზიებში, ოცდაერთისა და ოცდასამი ნომრის გარდა, არც ერთი ნომერი არ არის.

— ალბათ ძაფის ეკონომიკის ეწევიან ჩვენი სა-
ტრიცოტაეო ფაბრიკები.

... ეს საუბარი არ მოუხმინიათ თბილისურად.

ტაფისა“ და „საქტრიკოტაფის“ დირექტორებს, რასაც ღრმა მზიარულობით ვაუწყებთ.

მომხმარებლები



Mr. W. Schindler

ჩიო წელით, ქ. ბათუმში, მუდინაშვილის ქ. № 34-ში სასტიკი ზრდილი ზმუნანარის, ფიქრზე და მოგვიგებებითი ოპერაციებით წარწოეს, ერთი მხრივ, ქველის საავადმყოფოსა და, მეორე მხრივ, ჯილდო უფასოდვე შეიღრა საცხოვრებელი სახლის მშენებლობითი შორის. საავადმყოფოში ზრდილი იმით დაიწყო, რომ თავისი გზა ექვსს და ჯრების ოღბე-რობი შეიშვარავდა და და ჯრავაგაშე მოქ. ზ. სურნაშვილის კარბაშში და მშვეტრებ-ბით საესე სახლი მოაქცია. საცხოვრებელ სახლს შესესილდა თავის „ქვეშევრდ“ გი-ლად გაეცეთა ის, რომ ის სახლზე ნათესავთან სტრებად მისულ ადამიანს საავადმყოფოს ინტერქტორმა ბ. ვარკამბე თუ სესკილდორი საფეი არ გათვითნა, არ გაატარებინა.

საავადმყოფოში ესტე არ აკმაბრა საცხოვრებელ სახლს. მის უკანა მხარეს სამზარეულო, სასადილო და სამრეცხაო მიუშენა, გვერდით კი — მიცვალებულთა ოთახი, პროპიეტარა.

ამ დარტყმისაგან მცხოვრებლები ჯერ კიდევ გამოძვინებულინი არ იყვნენ, რომ საავადმყოფოში არც აცხელა, არც აცილა, მოჭ. ვ. ბესელიას ფანჯრის წინ სანაგვე უფით დაუდგა და სანაგვეროს საბრეილო მისცა ბუზებს, კიტრებსა და ძაღლებს...

ესეც არაფერი... ზამთარში ორთქლით სა-
თბობი მანქანიდან გამომდინარე, ცხელი წყა-

ლი, კანალიზაციის ნაცვლად, მცხოვრებთა ბინების საძირკველს მიუშვებს. საცხოვრებელ ოთახებში ისეთი ოზონიარი დადგა, რომ ახლანდელმა, გაზაფხულის მცხუნვარე მზემაც ვერ გაშაშრო ყიდილების სინესტი.

მთელს ეზოში წყლის ერთი ონკანი, ისიც სახლის წინ აშვერილა. საავადმყოფოს სანიტარები ყოველი ოპერაციის შემდეგ იქ რეცხავენ დასისბლიანებულ ტაშტებს, ხელსაწყოებს. იარაღებს...

[illegible]

3. 608745062

322-11
 8 5 1 5 5

ბილის მოტანა-გაყიდვას ეახტან დათავაშულის დათავაშულებას.

განსჯის გიჟი პირთა შორის - ვაშლმა და-
ლობამ იტყის, ზარალს მიაყენებოდა, მაგ-
არი ამ წესის დაცვას, რამე შეგნებია, ა-
ნა წყნის ქარბანა თუ პირდაპირად ზარალს რის-
თვის დაუწესებია? მაშინვე პასუხი, ჩაბარებს
ლირებულს ნაწილს დაუბრუნებს, ნაწილს ჩვენ
ჩამოტყუებულ და ხილს ჩადრდის რომ დაღუპვას,
თორემ ზევ რა გინდა!

მიიტანს დავითს მაღალბაში ერთ ტოხან
ვაშლს, ექვსას ცოლოვს აყიდოს, ოთხასი ეკოლ
გრამი დალოცება, წილთაშვილი ოთხასი ეკო-
ლოვგრამი დაშაჲლ ვაშლის წყენის ქარხანაში,
ჩაბარებს ქარხნის ღირს ა. თავართქილაძეს,
ნაწილებს მისგან ღირსის ნაწილს და მეორე
ნაწილი კი ღუბალოვს ქუთაისის საანგარიშოს
ბორზოვს დაემატება.

მოიტანს ვახტანგის ტოანანხევარ
ვალს, ერთ ტონს ეს, ხუთასი კილოგრამი
დაჰყენა. წაიღეს და მთელი ხუთასი კილოგრამი
დაწალა ვალს ბილის ქარხანაში, ჩაბარებს
ქარხნის დირექტორს ვართქილეს, მიიღებს
ნისგან ლიწებულების ეს და მეორე ხაწილი კი
ბუხმალტერ ვ. კეთესა დაწავალაში ბორბლებზე
აყენისდნა.

მოიტანს დავითაშვილი... მაგარი ერთი და
ოვგერო რომ არ გავიშორებო, მეთხოვარა, ერთად
დავსუნა ვიქცეო, რომ ვიხატებო ძლიან ხშირად
მოჰქონდა გასაყდი და მიჰქონდა დამპალი დავითა-
შვილი ხშირად ზედოდა და ღაზაროვებულ ვაჟთა-
შვილის დავითაშვილში ხილის წვენი ჯარხნის ღი-
რეტერი ა. თავთრთაქიძე, ბუხნალტერი ვ. ტყუ-
სილი და ზარალს უნაზღაურებდნენ.

მეგრამ იმ რაიონის მცხოვრებლები, სადაც თბილისბოსტანეპრობის №1 მაღაზია მდებარეობს, უსალოდ გამოეყოფიან: ხუმრობა ხუმრობა, მეგრამ იმ მაღაზიაში ასე სწორად ჩვენ ვაღარ გვიანებია, ამას გარდა, არც ისეთი უცდილ მიღწელებში ვყოფილვართ, რომ ბილის წვეთის ქარხნის დირექტორის დასაცინი გაგმადარიყვებოდა და რას ღირობოდა.

გაორგეფადებინა და მართალნიც იქნებინა: და-
მპალი ვიზი, მეთხველო, ხილის წყნის ქარხნისა-
თვის დიხი ჰაბაგეჲს, მართლის ჩამოწერა და სხვა
ასეთები მხოლოდ ზოგადნი, რომელსაც ზოგადნი
დინამიკური სადენინა თბილისბრძანაჭყაჭკობის მა-
ღალის სკოლის გავსეს ე. დავითაშვილის, ამავე მა-
ღალის უმაღლესტის ე. კუჭუჭის და ხილის წყნის
ქარხნის დირექტორს ე. თაყაიშვილადეს.

ჩვენ ჩვენი მხრივ ვინაგარიშით, მკითხველს, დავთავაზოვს ნაშრომს არ ქორნი, მაშასადამე, არც დამალო, არაქორნი და არადალო ჩვენ არ გვიყლიდა და არადალო დავუკარგეს; მაგრამ რის წევს უშუალოდ ქარხნის დირექტორი ა. თაბატაძის ლაღი: არაბალოს წევს წყალი ხომ არ გქონდება?

ამის შესახებ, ალბათ, თბილისელიზმოსტანგაქორნის ბლომდარევიები გვიპასუხებენ. მია

გულწრფელი სადღეობიძელო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 710 განკარგულებაში
მანქანა დაუბრუნდა. ნაბ. გ. ჯიბრაძის



— ამ ყანწით ჩვენს კოსტას გაუმარჯობს, ჩვენს ნოქარს, რომელიც უბრალოდ მთელი მთელი უბადლო დახმარებას უწევს!..

საქმით ნათესავები

ცეკავშირის შენობაში ერთმანეთს შეხვდნენ მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონის კოლმეშვეტები.

— რა წესი ჰქონიათ, კაცო, თბილისის რეს-
ტორანტში, მოგაწოდებენ ღვინით საგლე პიქას, გა-
მოგათრობენ და შემდეგ ზედმეტ ფასს გააბღვი-
ნებენ.


— ეგ რაა, ბიძაო, ჩვენში კიქას არცაი აფიჭე-
ბენ, ცარიელს მოგაწოდებენ და ლაპარაკით ისე
დაგათრობენ, რომ მყიდველს, ამ კიქაში, ზედმეტს
გადაგახდევინებენ.

— არა, ბატონო, მახარადელი გახლავარ.

— მახათელი? კი, მაგრამ, ასე ქაოხად სა-
დან იცი ჩვენებური, ლანჩხუთური ამბები? ჩვენ-
თან მაგ ხერხით, ჰიქების ზედმეტ ფასში გაყიდვით.
1500 მანეთზე მეტი ააფუქრენს მომხმარებელს.

— კაი, კაი, თუ ძმა ხარ, ნუ მეხუმრები, შენ
ყოფილხარ, ბიძია, მახარადელი და მე ლანჩუთ-
ლარ რატომ მოგეჩვენე!

३६०५७८०



ბონდომ აიღო თუ არა შევხვდებით, გადაწყვიტა დიდი ხნის უნახავ დედას წველა. გადაწყვიტა და იმავე საღამოს გაემგზავრა... ღამის სამ საათზე და ოც წუთზე კი უკვე სანატრელ ოჯახის კართან იდგა ბონდო, ძლივს გააგონა ღრმა ძილში მყოფ დედას.

ერთმანეთის მოკითხვამ კარგა ხანს გასტანა, შემდეგ დედა ცაბუმ რბილი ლოგინი გაუშალა ბონდოს და მოსვენება სთხოვა.

ბონდომ თხოვნა არ გაამეორებინა. მშობლიური სიბოი იგრძნო ლოკინში და თვალები მილულა, მაგრამ არ დასცალდა... უცნაურმა ყვირილმა ზეზე წამოაგდო. მან სასწრაფოდ ჩაიკცა, რადგან ყვირილისა და ღრიალის ხმა უფრო მატულობდა. სადღაც მახლობლად რაღაც იმტერებოდა, ვიღაც კარებს ჩამოსაგლეჯად ეტანებოდა. ქალისა და ბავშვების წივილ-კივილის ხმა ერთმანეთში ირეოდა.

— დედა ცაბუ, დედა ცაბუ, ეს რა ამბავია, გამაგებინე რა ხდება?! — გასძახა დედას.

— ეჰ, შეილო, რა ამბავია და ამ უსიკვებოების თავგასულობა, დღე-ღამე ამბავიან მოსვენება არ არის, შენ გიკვირს, თორემ ჩვენ თითქმის შევეჩვიეთ ამ მდგომარეობას. დამავიწყდა გამეფრთხილებინე!

თუმცა ბერის ეხვეწებოდა დედა ცაბუ დაწყვი, დაიძინეო, მაგრამ ძილზე ფიქრი ზედმეტი იყო. აყალმაყალი ძლიერდებოდა. ეტყობოდა მაგიდა გადაშალა, გაისმა მსხვერვის ხმა. საიდანღაც გაჩნდნენ სეირის მაყურებლებიც, მაგრამ გამშველებელი არავინ იყო.

მეზობლისა კარგა ხანს გასტანა უთავბოლო ჩხუბმა და აყალმაყალმა. ინათა და იქაც მიწწარდნენ, თითქმის დილის შუქს ელოდნენ, რომ დაღუპებულყვნენ.

ძლივს ჩაქანა. დილით დასვენებული წამოდგა, კარგად ისაუზმა და ქალაქის დასათვლიერებლად გამოვიდა.

სულ სხვა იერი ედო ქალაქს; ზოგი ადგილის ცნობა გაუქრდა კიდეც. რამდენი რამ გამოეცვალა, რამდენი რამ გაეკეთებინათ, თუმცა გასაკეთებელიც ჯერ კიდევ ბევრი იყო.

თითქმის საღამოვამს დაბრუნდა შინ. ხელ-პირი დაიბანა და სასაღილო მაგიდას მიუჯდა. შეეკცეოდნენ სადილს და ის იყო გულთბალი საუბარი დაწყეს, რომ მეზობლის სახლში კვლავ ღრინაცილი და წივილ-კივილი ატყდა. ლუქმა ყელში გაეჩხირა ბონდოს.

— ეს რა ამბავია, შემოჩენილი ხომ არ არიან, კაცმა გემოზე ვერ იძინოს, ვერ ისადილოს, როგორ ითმენთ ამას? — ხმამაღლა წარმოთქვა ბონდომ. ეტყობოდა, ცოლ-ქმარს „კამათი“ წუხელ ვერ მოეთავებინათ და ახლა განაგრძობდნენ. ისინი ისეთი უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ერთმანეთს, ისეთი უწყალო სიტყვებით იგინებოდნენ, რომ ბონდომ აღარ იცოდა სად გადაკარგულიყო.

კაცი ცოლის საცემრად იწვედა. ქალი ყველაფერს ამტყვევდა, მეორე სართულიდან ძირს მიფრინავდა ტანსაცმელი, სკამები, ქვეშაგები, შპა საკმელიც კი. ბავშვები კისრისტებით ჩამორბოდნენ კიბეებიდან. რკინის ნებისყოფა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ამ ხმაურისათვის გაეძლო. ბონდოს მოთმინება აღარ ეყო, გარეთ გამოვარდა და ქუჩაში მოგროვილ ხალხს შეუერთდა. ხედავდა, როგორ გარბოდნენ სახლებიდან თავქუდმოგლეჯილი მამაკაცები, რომ გაქცევოდნენ ამ ჯოჯოხეთურ „სიმფონიას“.

ეს ამბავი, როგორც გამოირკვა, თითქმის ყოველდღე მეორდებოდა. როლებს მუდამ ერთი და იგივე პირები ასრულებდნენ შეუწყვეტელი ხალისით.

თავმოებრებელი მეზობლები ამაოდ ჩივიან. ნატვრაც რომ არ უსრულდებათ? — არც თვითონ ყრუდებიან და არც მოჩხუბრები მუნჯდებიან.

მეზობლებთან ცუდი დამოკიდებულების გამო, სასამართლოს სტუმრებიც გახლდათ ცოლ-ქმარი, მაგრამ ამაოდ. „მეომრებმა“ 15-დღიანი შესვენება გამოაცხადეს მხოლოდ, შემდეგ კი დაიწყეს კვლავინდებურად, თუმცა უფრო მრავალფეროვანი რეპერტუარით.

უადგილო არ იქნება, თუ ამ გმირების ვინაობასაც გაიცნობთ.

კალისტრატე — ხარაზი გახლავთ, საშა კი — დიასახლისი. პირველი ცოლიდან კალისტრატეს სამი ვაჟიშვილი დარჩა, მაგრამ საშას პირის სანაცვლოდ ყველა გაუშვა. არც ერთი შვილისა და შვილიშვილისათვის არ აღმოაჩნდა თბილი კუთხე საკუთარ ოჯახში. საშას წყალობით სამამულო ომის მძიმე წლებში კალისტრატეს უფროსი ვაჟის ცოლ-შვილი ყოველგვარ დახმარებას მოკლებული აღმოჩნდა. ომში დაღუპული შვილის სახელით კი თვითონ კალისტრატე დიდ შეღავათს ღებულობს ყოველგვარ საქმეში.

ჩქარა გაითქვა სახელი ახალმა პატარძალმა. სამ დღეში მოასწრო ორ მეზობელს წაიდებოდა და შინ დახვედრილი გერი — პატარა სოსო უმოწყალოდ ეცემა.

ორი დღის მოყვანილი გახლდათ, როცა ღობეზე სადევით გამობმული ცხენი (არც კი იცოდა ვისი იყო) ეზოში შემოიყვანა, ზედ მოაჯდა და ხელის გულივით პატარა ფართობზე „გააქვენ-გამოაქვენა“. სეირის მაყურებლების ხარხარს უერთდებოდა ცხენის ჭიჭინთან ერთად პატარძლის გამკივანი ხმაც. ეს კიდევ არაფერი. იფიქრეს სპორტის მოყვარულიაო და მეზობლებს ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ, როცა საშას წმინდა დედინაცვლურმა მოპყრობამ სოსო ცხოვრების სწორ გზას ააქვინა, მაშინ კი ვეღარ მოითმინეს, ძვირად დაუჯდათ მათ ეს გამოსარჩლება. უნდა გენახათ საშას გაცოფება, როცა მის საქმეში „არამკითხე“ ხალხი ჩერია.

— თუ ქალი ვარ, მე თქვენ ხმას ჩაგაწყვეტინებთო. — და მართლაც რომ ძალა შესწვდია ქალისათვის.

მან ყველას ამოუკეთა ფეხი კალისტრატეს ოჯახში, საკუთარ დედასაც აგერ ათი წელია არ იკარებს.

ამ ქალის სიკვამლე მწვერვალს მიადგა. არც კაცს ინდობს, არც ქალს. ლანძღვა-გინებითა და აყალმაყალით მეზობლები აიკლო.

საერთოდ, საშას ჩხუბის ატეხვა ემარჯვებოდა. ქვები ხომ ასე ბლომად ყრია ეზოში თუ ქუჩაზე, რაღა გაუჭირდება?! მიზეზისათვის სულ უმნიშვნელო რამ კარა.

ამავე დროს ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის ხუთი ბავშვის დედაა.

ამ ოჯახში ბავშვები მორალური დაცემის ყოველგვარ ნიშნებს ხედავენ. ისინი ახლავე მშვენიერად ამტკიცებენ დედ-მამის თვისებებს.

კალისტრატემ დიდი ხანია რაც სახლის ქვედა სართული გააქირავა. დღემდე იქ ღვინის სარდაფი იყო მოწყობილი. ყოველ სასურველ დროს შეიძლება იქ ეპოვათ გაღებული მამაკაცებთან „მოსაუბრე“ შექიფიანებული საშა. კიდევ კარგი რომ ადგილობრივმა ვაზეთმა მხარი დაგვიჭირა, ჩვენი მამხილებელი წერილი დაბეჭდა და მოქიფე-მოლაყებთა ეს კერა ამჟამად დაკეტილია.

რაც მთავარია, ამ სარდაფის მოუშორებელი სტუმარი გახლდათ საშას პატარა ვაჟი. ის 6-7 წლის ძლივს იქნება, მაგრამ ღვინის გემოს ჩინებულად არჩევს. მეტყველება კი თითქმის განუყოფარებელი აქვს. ორ წელზე მეტია, რაც პაპირისიც არ არის მისთვის უცხო, მაგრამ დამშლელი სადაა?!

ამ საქციელით აღმფრთხილებმა ბონდომ მოიხმო ბავშვი და დაყვავებით მიმართა:

— ბიძიკო, გადაგდე პაპირისი, არ ვარგა. აი, სამაგიეროდ ვაშლი ქამე...

ბავშვმა ქვას დასტაცა ხელი, ბონდოს ესროლა და რაღაც წაილულულა. შემდეგ წინ გამოეჯგომა და კბილების კრეკვით „დარდიმანდულად“ მოქაჩა პაპირისი.

ფაქტების მოყვანა დაუსრულებლივ შეიძლებოდა, მაგრამ განა საქმარისი არ არის?

ხანდახან საშა იგრძნობს, რომ რაღაც აკლია მის ოჯახს. ეს „რაღაც“ მზიარულდება. გამოყრის თავის ხუთ ბავშვს ეზოში, ერთად დასხამს და სულ ახლახან ტირილისაგან თვალბდისიებულ ბავშვებს აიძულებს იმღერონ.

— ვალიუტა! ვალიუტა! — ეძახის გოგონას, — ნათელა, ნაზიკო, აბა, იმღერეთ... იმღერეთ, თორემ ტყავს გაგაძრობთ!

— არ გესმით თქვენ? იმღერეთ-მეთქი! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს. — გაიქცევა და წნელს მოარბენინებს.

— იმღერეთ, მეზობლები იტყვიან მზიარულობენო, შემურდებთ!


ბავშვებს რა ემღერებათ, მაგრამ დაშინებული წამოიწყებენ სიმღერას, თუ მას სიმღერა ეთქმის. ეს ტირილისმაგვარი ზუზუნის საშას არ მოეწონება და უმოწყალოდ სცემს საცოდავ ბავშვებს.

ამ ცერემონიას დამშვიდებით უცქერის კალისტრატე. მას ვერც კი წარმოუდგენია სხვაგვარი ცხოვრება.

მეზობლებს უჭირთ მათთან შეგუება, საკუთარ თავთან ერთად ებრალებათ ბავშვები, რომლებიც ამ ოჯახში იზრდებიან. სხვა რომ არა იყოს რა, ხუთი მოზარდის ზნეობას საფრთხე მოეცის.

ალბათ, დაგაინტერესებთ ვინ არიან ჩემი გმირები, ან სად ხდება „ასპარეზობა“, რომელსაც ისინი აწყობენ.

ეს ხდება ქ. ცხაკაიაში, თოფურიძის ქუჩაზე, №9-ში. ამ სახლის მომხინდარები კი არიან კალისტრატე ხუბუა და საშა (ალექსანდრა) ადანი-ბუბუასი.



ბელმოწ. დასაბ. 1953 წ. 29/V. სტანბა „ზარია ცესტოვა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეგ. № 975 გამოც. № 9 ტირ. 15.000 შუ 03990.



ნახ. ი. თბილელია

გარკვეული პირობა

მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი ამერიკელი პროფესორი იღებდა მონაწილეობას საგარეო პოლიტიკური დახვერვის სამსახურში და მრავალმა მათგანმა დაიპყრეს მოხერხებული ჯაშუშის სახელი.

გაზეთებიდან

— თქვენი სამსახური მუდამ დაფასებული იქნება, ბატონებო, და ახლაც თუ ისე გამოიჩენთ თავს, როგორც ეს ომის დროს მოახერხეთ, აკადემიკოსობა არ ავცდებთ!..